შპს “ნეოგაზი” აცხადებს ტენდერს მომსახურების:

ავტო გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე

07/06-NEO-S/BUILD-17

მომსახურების აღწერა:

ზესტაფონის რაიონის სოფ. არგვეთაში მდებარე ნეოგაზის კუთვნილი აგგს-ის რეკონსტრუქციის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოები თანდართული საპროექტო მასალების მიხედვით:

#	დასახელება
1	სანიაღვრე - წყალარინების მილების ჩალაგება (ჭებით)
2	სამრეცხაოს წყალ-გაყვანილობის მონტაჟი
3	სალექარის მოწყობა სამრეცხაოსთვის
4	გარე ფეკალური და სანიაღვრეს მოწყობა
5	ბეტონის ბორდიურის მოწყობა (ჩაბეტონებით) თან დართული სქემატური ნახაზის მიხედვით
6	ტერიტორიის შემოღობვა (კიბისებური, პანელური ღობით)
7	ელ. გაყვანილობისათვის (სამრეცხაო, დამტენი, განათება) საკაბელე არხების/მილების გაყვანა
8	განათების ბოძებისთვის ანკრების ჩასხმა სქემატური ნახაზის მიხედვით
9	ბეტონის საფარის მოწყობა თან დართული სქემატური ნახაზის მიხედვით
10	ახალი ავზების მონტაჟი

დართულ ფაილებში გთხოვთ იხილოთ:

1. <u>შესასრულებელი სამუშაოების პროექტი;</u>
2. <u>სამუშაოების საორიენტაციო მოცულობები.</u>

შპს ნეოგაზი იწვევს დაინტერესებულ ანალოგიური გამოცდილების მქონე პირებს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომერციული წინადადება წარმოდგენილი დეტალური ხარჯთაღრიცხვის სახით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
- ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ შესრულებული ანალოგიური/მსგავსი სამუშაოების შესახებ (სამუშაოს დასახელების, კონტრაგენტი ორგანიზაციის, პერიოდის მითითებით);
- მინიმუმ ერთი სარეკომენდაციო წერილი (რეკომენდირებულია ორი).
- ინფორმაცია სამუშაოების შესრულების ვადების შესახებ (გაწერილი გეგმა-გრაფიკი):
- ინფორმაცია გადახდის პირობების შესახებ.
    - ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში მომწოდებელი იტოვებს უფლებას მოითხოვოს საბანკო გარანტია მოთხოვნილი თანხის ოდენობაზე.

გამარჯვებულის გამოვლენის შემდგომ დამკვეთი იტოვებს უფლებას პრეტენდენტს მოთხოვოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან პირის მიმართ საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;

წინადადების წარდგენის წესი:

- დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე ბეჭდური სახით და მოთავსებული უნდა იყოს დალუქულ კონვერტში. კონვერტს დალუქვის ადგილას დასმული უნდა ჰქონდეს ორგანიზაციის ბეჭედი ან/და ხელმოწერა. კონვერტს გარედან **აუცილებლად** უნდა ეწეროს პრეტენდენტისა და ტენდერის დასახელება/ნომერი;
- წინადადების ჩაბარება ხდება მისამართზე: ქ.თბილისი, გაზაფხულის ქუჩა N18. საკონტაქტო პირი სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით: **ვასილ მაისურაძე.** ელ.ფოსტა: v_maisuradze@giec.ge; საკონტაქტო ნომერი: 551 11 22 22.
  - საკონტაქტო პირი სამუშაოებთან დაკავშირებით:
    - ოთარ გოცირიძე. საკონტაქტო ნომერი: 595 46 48 08.
    - დავით კიკვიძე. საკონტაქტო ნომერი: 591 11 41 41.

წინადადების წარდგენის ბოლო ვადა: <u>2017 წლის 16 ივნისი, 15:00 საათი.</u>